# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 5 პარასკევი, 8 იანვარი 1910 წ. № 5



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ პატარა წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი-ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А", И. С. Агладзе.



10 იანვარს, კვირას, ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**ყარამან ბესარიონის ძის დათეშიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **მართა სტეფანეს ასული დათეშიძისა** შვილებითურთ. (2—კვ.—1)



წარმოდგენა № 25. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 25.

შაბათს, 9 იანვარს, 1910 წელს.

**ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი**

გამართავს წარმოდგენას და ლიტერატურულ საღამოს ქართულ დრამატიულ დასის მონაწილეობით.

## ლიტერატურული გასამართლება

გასამართლება უმთავრეს პირთა ქართულ მწერლის ალ. ყაზბეგის რომანის „მოძღვარისა".

მონაწილეობას მიიღებენ: კნიაჟნა ნინო ჩერქეზიშვილი, კიტა აბაშიძე, შიო არაგვისპირელი, ვახტანგ ღამბაშიძე, გიორგი გვაზავა, ფ. გოგიჩაიშვილი, ივანე გომართელი, პ. გოთუა, ალ. დიასამიძე, ვ. დემიდოვი, ალ. ყანჩელი, გ. ლასხიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. მაყაშვილი, ვ. მუსხელიშვილი და სხვანი

## შ ე შ ლ ი ლ ი

ფსიხოლოგიური ეტიუდი 3 მოქმ. თარგ. ვ. აბაშიძესი.

გარლეიგის როლს შეასრულებს **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, პ. შოთაძე, ბ-ნნი ა. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ზარდალიშვილი, გ. მატარაძე.

რეჟისორი **ვლ. ა.-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 6 მ.-მდე; პარტერი 3 მ. 25 კ.-დან მანეთამდე. გალერეია 60 კ.-დან 40 კ.-მდე. (3—2)



**ქართული წარ ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 16.

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

**შაბათს, 9 იანვარს, 1910 წელს**

ავლაბრის ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ყომარბაზის ცხოვრება

დრამა 5 მოქმ., თარგ. ა. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

რეჟისორი **ვ. ურუშაძე.** გამგე **თ. ნასიძე.**



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**კვირას, 10 იანვარს, 1910 წელს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ **კ. ნ. შათირიშვილის** რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება:

## ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი

ტრაგედია 5 მოქმ. შილლერისა, თარგმანი ნ. ავალიშვილისა.

**წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სცენის-მოყვარეთა მთელი დასი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს საღამოს, 21 იანვარს.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**





## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

პარასკევს, 8 იანვარს, 1910 წელს, დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ პირველ-ხარისხოვანი არტისტი კაცები და ქალები **ძმ. კონსტანდი, ლეონსი, მისსრუტსი** და სხვა. დასასრულ წარმოდგენილ იქნება ახალი ფეერია **„სანდრალიონი ანუ ბროლის ფეხსაცმელები".** მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. დაწვრილებით პროგრამებში.

**ანონსი:** შაბათს, 9 იანვარს, „ჩვენი შაქოები". განსაკუთრებული პროგრამა. კვირას ორი წარმოდგენა—დილით და საღამოთი.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(0—ხ.—12) გამგე **გამსახურდია.**



მიიღება ხელის მოწერა 1910 წ.

**კვირეული საპოლიტ. სალიტერ. და სამეცნ. ჟურნალ**

## საქართველოს მოამბე

ფასი ერთის წლით 4 მ. 50 კ., ექვსი თვით 2 მ. 50 კ., უცხოეთში 6 მ.

მე-11 ნომრიდგან დაიბეჭდება მოპასანის საუკეთესო რომანი „ცხოვრება".

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., домъ Дворянства № 117.

ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ: Головинскій пр. домъ Манташева номера „МУХРАНИ", Семену Кипіани. (5—2)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—79)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—241)



## სამუსიკო სკოლა

**ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოებისა.**

პირველ იანვრიდან 1910 წლ. განხლდება მოწაფეების მიღება შემდეგ სპეციალურ მუსიკალურ კლასსებში: ფორტეპიანო, სკრიპკა, ვიოლონჩელი, კონტრაბასი, ელემენტარული თეორია, ნოტების კითხვა, (solfegio) მუსიკ. ენციკლოპედია და ხოროს კლასში. ხმების გავარჯიშებისათვის, სიმღერის მასწავლებლად (solo) მოწვეულია, რუსულ ოპერის არტისტი **ნ. დ. კოვალენსკი.** გადასახადი ფასი მეორე ნახევარი წლისათვის, სიმღერა (solo) ეღირება 37 მ. და 50 კ. დანარჩენ სპეციალურ ინსტრუმენტებზე კი—30 მანეთი. მოწაფეთა მიღება და ხმების გამოცდა მათთვის, ვისაცა სურთ მონაწილეობის მიღება ქალთა და ვაჟთა გუნდში, დანიშნულია ყოველ დღე, კვირა-უქმეობითაც, დილის 10 ს. ვიდრე 2-მდე და ნაშუადღევს 4—7 საათზე.

**სწავლა დაიწყება 7 იანვარს**

ადრესი: საპიორის ქუჩა ყიენტის სახლი N 18. (5—5)



**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—143)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—29)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—20)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ხ. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—77)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—87)

**ექიმი ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)



**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დ ე მ ი დ ო ვ ი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—337)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—70)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—8

**ექიმი ვ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

მ. **კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. ს ავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—99)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)



მცხეთის დედათა მონასტრის **4**-კლას. ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ

პარასკევს, 8 იანვრისათვის დანიშნული საღამო და კონცერტი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

## გადაიდო

კვირას, 24 იანვრისათვის.

ნაყიდი ბილეთები ისევ გამოდგება. საღამოს დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საღამოს დიასახლისი **კნ. დ. ჯავახიშვილისა.** (3—2)



**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოს. **გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. და ვენერიულ სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან და აგრეთვე **ცისტოსკოპის და ურეტროსკოპას** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე რ ი ა პ ი ა—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—2)



◀ **ვკისრულობ დაცვას** ▶

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ სააპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევას ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზ.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—22)



**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—89)

## ქ. ქუთაისში

**მებაღე ვარლამ ვ. ჩიხლაძე.**

ვყიდი ამერიკულ ვაზზე საუკეთესოდ დამყნილ ჩვენებურ ჯიშის ვენახს ხელმისაწვდენ ფასებში. მსურველს შეუძლიან იკითხოს ძველი ტფილისის ქუჩის შესახვევში ამბაკო იმამიძის სახლში (ვაგზალთან). 10—კვ.—6


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6-7 იანვარი.

### არჩევნები ინგლისში.

**ლონდონი.** 4 იანვარს აირჩიეს: 92 უნიონისტი, 77 ლიბერალი, 16 მუშათა პარტიის წევრი და 13 ნაციონალისტი. უნიონისტებმა მოიგეს 37, ლიბერალებმა 7, მუშათა პარტიამ 1 ადგილი. გეტსხედსა და დურხამში ლიბერალებმა მუშათა პარტიას აჯობეს.

**ლონდონი.** ნაშუაღამის 12 ნახ. საათამდის აირჩიეს 122 უნიონისტი, 97 ლიბერალი, 31 მუშათა პარტიის წევრი და 28 ნაციონალისტი. უნიონისტემა მოიგეს 52, ლიბერალებმა 9, მუშათა პარტიამ 1 ადგილი. მინისტრ-პრეზიდენტი ასკვიტი ასტფაიფში აირჩიეს. საინტერესო ის არის, რომ უნიონისტები უმთავრესად პატარა ქალაქებში იმარჯვებენ. დიდმა სამრეწველო ცენტრებმა კი თავისუფალ ვაჭრობის მომხრეებს მისცეს ხმა. უნიონისტებმა 1906 წლის არჩევნებთან შედარებით 234,944 ხმით მეტი მიიღეს, ლიბერალებმა 26,029 და მუშათა პარტიამ 7,875 ხმით. კონსერვატიული გაზეთები დიდ ამბავში არიან და იმედოვნებენ, რომ დანარჩენ პროვინციებშიაც გაიმარჯვებენ.

**ლონდონი.** ნაშუადღევის 4 საათამდის აირჩიეს 121 უნიონისტი, 97 ლიბერალი, 21 მუშათა პარტიის წევრი და 41 ნაციონალისტი. უნიონისტებმა მოიგეს 52, ლიბერალებმა 10 ადგილი. უნიონისტებს იმედი აქვთ, რომ დანარჩენ ადგილებშიაც გაიმარჯვებენ. არჩევნები 231 ადგილში კიდევ უნდა მოხდეს. უნიონისტები სიტყვით, მათი კანდიდატები გავლენ ირლანდიის ორ ოლქში, შოტლანდიის მოსაზღვრე ოლქებში და რამდენიმე დიდ ქალაქში. უელსში ლიბერალები გაიმარჯვებენ. დღეს 80 ოლქში მოხდება არჩევნები.

### საზღვარ-გარეთ

**სტამბოლი.** სერესში ოსმალეთის ადმინისტრაციამ დააპატიმრა გერმანიის ქვეშევრდომი, რომელმაც მოჰკლა პოლიციელი და დასჭრა რამდენიმე კაცი. გერმანიის კონსულმა მოითხოვა მკვლელის გაცემა, მაგრამ უარი მიიღო. გერმანიის ელჩმა ოსმალეთის მთავრობას ამის შესახებ ნოტით მიმართა.

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" ბელგრადიდან დეპეშით აცნობებენ: ახალ წელიწადს, სასახლეში გამართულ ნადიმზე მეფის წულს გიორგის და ქალაქის პრეფექტს ლაპარაკი მოუვიდათ. პრეფექტმა სამსახურიდან გასვლა ითხოვა. მინისტრთა საბჭომ დაადგინა არ შეიწყნაროს პრეფექტის თხოვნა და მეფის წულ გიორგის მოსთხოვოს მიატოვოს სერბია. ხმა დადის, რომ მეფე და მინისტრთა საბჭო შეთანხმდნენ გიორგი საზღვარ-გარედ არ გაუშვან, ჩარიცხონ ნამდვილ სამსახუ-

რში და ჯამაგირი შეუმცირონ. გაზეთები თხოულობენ გიორგის დასჯას.

**კალკუტა**. დააპატიმრეს ათი სალდათი, ადგილობრივი მცხოვრები. ბრალდებათ არეულობაში მონაწილეობის მიღება. განზრახული აქვთ ის პოლკი, რომელშიაც ეს სალდათები ირიცხებიან, სხვა ადგილას გადაიყვანონ. ზოგიერთების აზრით არეულობაში ძალიან ცოტა სალდათს მიუღია მონაწილეობა.

**კალკუტა**. გააძლიერეს საზღვაო რაზმი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს, რომ სპარსეთის ყურეში საიდუმლოდ იარაღი არ შემოიტანონ.

**ბუდაპეშტი**. იმპერატორმა მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფ ვეკერლეს სახელზედ რესკრიპტი გამოსცა. იმპერატორი მადლობას უხდის გადამდგარ სამინისტროს და იმედოვნებს, რომ ვეკერლე შემდეგშიაც თავის ძალ-ღონეს სახელმწიფოს კეთილდღეობას მოახმარებს. ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა ხელერვერმა ფიცი მიიღო.

**ვეიმარი**. გეზბურგის ახლო, საკსენ-ვეიმარში აფეთქდა თოფის წამლის საწყობი. დაიღუპა სამი კაცი

**კალკუტა**. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ დაპატიმრებული 10 სალდათი ჯარში იმიტომ ჩაეწერა, რომ აგიტაციის გაწევა უნდოდათ. ის პოლკი, რომელშიაც ეს ათი სალდათი ირიცხებოდა, კეთილ-საიმედოაო.

**პარიზი**. დეპუტატთა პალატაში დუმერგმა, სხვათა შორის, სთქვა: საერო სკოლების წინააღმდეგ გალაშქრებას პოლიტიკური ხასიათი აქვს და არა სარწმუნოებრივი და ფაქტიურად რესპუბლიკის წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან საერო სკოლებს უნდა მივაწეროთ, რომ არჩევნებში რესპუბლიკის მომხრეებმა ყველაზე მეტი ხმა მიიღეს და მათვე მოამზადეს სახელმწიფოდან ეკკლესიის გამოყოფის ნიადაგიო. სახელმწიფო მოვალეა თვითონ იკისროს მომავალ მოქალაქეების აღზრდა-სწავლებაო.

**სტამბოლი**. დილის 11 საათზე ცეცხლი წაეკიდა დეპუტატთა პალატის სადგომს, შირაგანის სასახლეს. ჯერ არ იციან რა მიზეზით გაჩნდა ცეცხლი.

**სტამბოლი**. სულ ერთიანად გადაიწვა შირაგანის სასახლე. დაიღუპა დეპუტატთა პალატის და სენატის საბუთის ქაღალდები. ზარალი 40 მილიონ მანეთს უდრის. მინისტრთა საბჭო თათბირობს, თუ დროებით სად უშოვოს ბინა დეპუტატთა პალატას და სენატს.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატის სხდომები დროებით თეატრში, ტაშკილარის ყაზარმებში, ან ილდიზში მოხდება.

**გელონკირხენი**. ჰოლანდიის მაღაროებში კედელი ჩამოინგრა. დაიღუპა 6 მუშა.

**ბერლინი**. ლანდტაგი. განიხილეს პოლონელების შეკითხვა კატტოვიცის პოლონელ მოხელეების დასჯის შესახებ. ამ მოხელეებმა არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა და პოლონელების მომხრეებს მისცეს ხმა. შეკითხვის ავტორებს პასუხი გასცა კანცლერმა ბეტმან-გოლვეგმა. მან სთქვა: გერმანიის მთავრობა სარწმუნოებისათვის არავის სდევნის. მოხელეებს არჩევნებში მხოლოდ მაშინ ზღუდავდნენ, როდესაც ამას სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდნენ. პოლონელებს აზრად აქვთ თავიანთი სახელმწიფო აღადგინონ და ეს არის მიზეზი, რომ პოლონელების მოძრაობა ესე ძლიერია და ესე ერთსულოვნად მოქმედებენ. ისტორია გვასწავლის, რომ პასსიური პოლიტიკა ჩვენთვის ხელ-საყრელი არ არის. ჩვენ თუ ასეთი პოლიტიკა ვაწარმოვეთ, მაშინ ჩვენ თვითონ შევუწყობთ ხელს პოლონელების გაძლიერებას და გერმანელების დასუსტებას. ჩვენი პოლიტიკის მიზანია, სკოლებისა და ახალშენების საშუალებით გერმანელები გავაძლიეროთო. პოლონელებმა და ცენტრმა კანცლერს უსტვინეს.

**კოპენჰაგენი**. უნივერსიტეტის კომისია იუწყება: კუკის მიერ გამოგზავნილი ორიგინალები ჩრდილოეთ პოლიუსის აღმოჩენის შესახებ არსებითად ეთანხმებიან მის დატოვებულ უბის წიგნში ჩაწერილ ამბებს, კუკის მიერ გამოგზავნილი საბუთები არ ამტკიცებენ, რომ მას ჩრდილოეთის პოლიუსი აღმოეჩინოს. ამასთან გადაჭრით ვერც იმას ვიტყვით, რომ კუკს არ აღმოეჩინოს ჩრდილოეთის პოლიუსიო.

სპარსეთი

**ბომბეი**. გაზეთ „პიონერს“ატყობინებენ: სამხრეთ-სპარსეთის მცხოვრებლები მთავრობასთან საბრძოლველად ემზადებიან. მათ არა სწამთ ეხლანდელი შაჰი და ახალი სისტემის თოფებით არიან შეიარაღებულნიო.

**თეირანი**. ყაზვინის გუბერნატორად დაინიშნა. ვიზირ-აკრამი. ვიზირ-აკრამი ამ ხუთი წლის წინად ყაზვინში გუბერნატორად იყო.

ყაზახებს და პოლიციას შეატაკება მოუვიდათ. ამის შესახებ მეჯლისში შეკითხვა შეიტანეს, რა საჭიროება მოითხოვს, რომ ყაზახთა ბრიგადა არსებობსო. მთავრობამ დაიცვა ყაზახთა ბრიგადა.

თეირანში აიკრძალა ყოველნაირი კრებები იმ აზრით, რომ ხელი შეუშალონ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას.

**თეირანი**. რუსეთის საელჩოს შეაფარა თავი ყაზვინელმა ფადაიმ, რომელმაც თავისი უფროსი მოჰკლა.

რუსეთი

**პეტერბურგი**. 5 იანვარს საექიმო ინსპექტორთა მთავარმა გამგეობამ ბრძანება გასცა, შეამოწმეთ კბილის ექიმების, დანტისტების, ფარმაცევტების, ფერშლების, ბებია ქალების, მასაჟისტების და აფთიაქის მოწაფეების მოწმობები და ვისაც ყალბი მოწმობები აღმოაჩნდება, დაუყონებლივ სამართალში მიეცითო. კბილის ექიმების და სხვა სპეციალურ სკოლების პატრონებს და ადმინისტრაციას გამოეცხადოთ, იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდა, რომ განგებ ყალბ მოწმობიანებს იღებთ, სასწავლებლებს დავკეტავთო.

**პეტერბურგი**. სამხედრო სასამართლო ამ დღეებში გაარჩევს ვოსკრესენსკ პეტროვის საქმეს. ვოსკრესენსკის ბრალდება პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსის, კარპოვის მკვლელობა.

## უბედურება ვერის დაღმართზე

სამშაბათს, 5 იანვარს, დიდი უბედურება მოხდა ვერის დაღმართზე. საღამოს ასე $5^1/_2$ საათი იქნებოდა, ელექტრონის ვაგონი (№ 47) საშინელის სისწრაფით დაეშვა ვერის დაღმართზე, დაეჯახა რკინის ბოძებს ვერის ხიდს ზემოდ და 30-მდე კაცი დაშავდა და დასახიჩრდა. ვატმანად იყო ივანე მიალოვი. ვაგონი სავსე იყო მგზავრებით ვაგონი დაეშვა ვერის მოედნიდან. მგზავრებმა იგრძნეს, რასაკვირველია, მოსალოდნელი უბედურება და ზოგი გადმოხტა კიდეც ვაგონიდან. თანდათან ვაგონი სიჩქარეს უმატებდა. ამ სიჩქარისა გამო ველარავინა ჰბედავდა ვაგონიდან გადმოხტომას. მგზავრები მიენდვნენ ბედს. მოედნის ცოტა ქვემოდ ქუჩაში მდგომმა კონტროლიორმა გვათუამ, რომ ნახა ეს ამბავი, მსწრაფლ ავარდა გაქანებულ ვაგონზე და კონდუქტორსა და ვატმანს შველა დაუწყო ვაგონის შესაჩერებლად. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ეწეოდნენ ტორმოზებს, მაგრამ ვერას ხდებოდნენ. ვატმანმა ვაგონს უკან დასაწევი ძალა მისცა, მაგრამ ვაგონის შეჩერება შეუძლებელი იყო. კიდევ ცოტა და ვაგონი ვერის ხიდს ზემოდ მოსახვევს მიუახლოვდა. აქ ვაგონი სწრაფლ მარჯვენა ლიანდაგიდან ამოხტა, მეორე, მარცხენა, ლიანდაგზე გადაირბინა და კურცხალაიას შეშის საწყობის წინ ტრამვაის ელექტრონის ბოძებს მიაწყდა. ისე ძლიერ დაეჯახა ვაგონი ბოძებს, რომ იქვე გადაბრუნდა და ლუკმა-ლუკმად იქცა.

შესაზარი სურათი იყო. გაისმა გულსაკლავი წივილ-კივილი. ვაგონში 30 მგზავრამდე იჯდა. ამ ყვირილზე და ხმაურობაზე გაჩნდნენ პოლიციელები. თავი მოიყარეს გამვლელ-გამომვლელებმაც და შეუდგნენ დაჭრილებისა და დასახიჩრებულების დახმარებას. დაჭრილები საჩქაროდ მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს

სასიკვდილოდ დაშავდა ვაგონის დამტარებელი ივანე შალოვი და მეორე საპოლიციო ნაწილის ბოქაულის თანაშემწე სალათელ გუკასოვი. ეს უკანასკნელი ცოტა ხანს შემდეგ საავადმყოფოში გარდაცვლილა. ძლიერად დაშავდნენ: კონტროლიორი ივანე გვათუა, ვაჭარი იოსებ სარქისიანცი, ანნა მეშჩერიკოვისა (18 წ.), ოლგა დობისინიუკი, პროთე სოხაძე, მართა ცეინერი, გრიგოლ ბიბილაური, კონსტანტინე გრიგორიევი, მარიამ იუდინასი, კონდუქტორი სიმონ იაცენკო და ფოტოგრაფი იოსელ ზბუნსკი.

უფრო მსუბუქად დაშავდნენ და საექიმო დახმარება აღმოუჩინეს საავადმყოფოში: მასწავლებელ ქალს ლიდია ლუცაუს, ზაქარია სულაძეს, ნიკოლოზ ბროცკის, მოსწავლეს ევსევი ზალდასტანიშვილს, გიორგი ჭუჭულაშვილს, ასლანოვს, ვლადიმერ კრავჩიკს, ნატალია ჟელტკოვს, ნატალია რაზმაძეს, ივანე თეიმურაზოვს, აკულინა პშენიჩნიკოვს (ფეხმძიმე ქალს, თავი გაუტყდა) და კარაპეტ ამირხანოვს.

უბედურების ადგილზე იყვნენ აგრეთვე ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი, გუბერნატორი, ტფ. პოლიცმეისტერი, ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი, გამომძიებელი და სხვანი. საქმის გამოძიებას შეუდგა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი რუსანოვი. სენატორმა ვატაციმ, გუბერნატორმა და ქალაქის თავის მოადგილემ საავადმყოფოშიაც დაათვალიერეს ავადმყოფები.

მიზეზი ამ სამწუხარო კატასტროფისა ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული, თუმცა ბევრი სხვა და სხვა რამეს ასახელებს. ტეხნიკოსები საგუბერნიო ინჟინერის ანტონოვის მეთაურობით, უკვე შეუდგნენ მიზეზის გამოკვლევას. ტორმაზის ჯაჭვი მთელი აღმოჩნდა. ტეხნიკოსებმა დამტვრეული ვაგონი ტრამვაის პარკში დაბეჭდეს 6 იანვარს და გუშინ, 7 იანვარს, უფრო დაწვრილებით დაათვალიერეს ერთი-ერთ მიზეზად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ უბედურების საღამოს ვერის დაღმართზე ორჯელ ნაკლები მუშები იყვნენ დაყენებულნი მშრალ ქვიშის დასაყრელად ლიანდაგზე. ქვიშის დაყრა დაღმართზე ვაგონების წესიერ მოძრაობას ხელს უწყობს. ამ დღეს კი ძლიერი მოძრაობა იყო ვაგონებისა და მთელ დაღმართზე ქვიშის დროზე დაყრას მუშები ვერ ასწრობდნენ, რადგან [illegible] კაცის ნაცვლად 24 კაცი მუშაობდა. ახალმა დირექტორმა ტრამვაისამ მთავრეს მიზნად დაისახა ყველაფერში ეკონომიის გაწევა და შეიძლება მუშების რიცხვიც ამიტომ შეამცირეს. ამ შემცირებას კი ასეთი საშინელი უბედურება მოჰყვა. თითონ უსახელო საზოგადოებასაც დიდი ზარალი მოუვა, თვით ვაგონი 8-9000 მანეთად ღირს და ამას გარდა დიდძალ ფულის მიცემა მოუხდება დაშავებულთათვის და ყველა ეს რაღაც გროშებისთვის. ვინ იცის, შეიძლება ამ საქმეშიაც დამნაშავედ „მეისრე“ გამოანახონ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მაგრამ ყველასთვის აშკარაა, რომ ტრამვაის მოსამსახურეებმა—ვატმანებმა, კონტროლიორმა და კონდუქტორმა—ყოველი საშუალება იხმარეს და თავიც-კი შესწირეს.

როგორც ამბობენ, ადმინისტრაცია სასტიკ გამოძიების შემდეგ პასუხისგებაში მისცემს ყველას, ვისი მიზეზითაც ამდენი ხალხი დაშავდა და დაწიოკდა.

## შავი-ქვა

(შემდეგი*)

წელს ძალიან დიდია მოთხოვნილება ქვისა, მაგრამ ჭიათურას უძნელდება ქვის გასაღება, რადგან როგორც ზევითა ვსთქვით, ფასი მეტის-მეტად დაცემულა. როგორ შეუძლიან ჭიათურელს ქვა $4^1/_4$-5 კაპეიკად გაჰყიდოს, როდესაც თვითონ 7 კაპეიკამდის უღირს ფუთი თვით ჭიათურაში. ფოთში ჩატანილი ქვა 20 კაპეიკამდის უღირს. აძლევენ კი 17 კაპეიკამდის. რა არის მიზეზი, რომ ქვა ასე ძვირად ჯდება, როგორც ჭიათურაში, ისე ჭიათურიდან გატანილი? ერთ ერთ მიზეზად ჭიათურის გზის არანორმალური ტარიფი უნდა ჩაითვალოს. 7 კაპეიკი ფუთი ქვის გადასახადი 38 ვერსის მანძილზე ყოველ ნორმას აღემატება. ამაზე ბევრი ლაპარაკი იყო, ბევრჯელ აღიძრა ეს საკითხი მრეწველთა კრებაზე, ბევრჯერ გაიგზავნენ

*) იხ. „დროება“ N 4.

# აღზრდის მიზნები

(შემდეგი *)

3

სანამ პირველ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, უკეთესია ესთეტიური განათლება ჯერ მისი ღირსებების მხრივ გავარჩიოთ, უკეთესია ესთეტიურ ტკბობის დადებითი მხარეები გავითვალისწინოთ, ის დადებითი მხარეები, რომელნიც ნათელჰყოფენ, რომ ესთეტიური განათლება არა მარტო იმიტომ არის სასურველი და აუცილებელი, რომ იგი ადამიანის არსის დამოუკიდებელ ღირებულებას, დამოუკიდებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს, არამედ მიტომ, რომ იგი სხვა მხრივაც აუცილებელ პირობას შეადგენს ნამდვილ ადამიანის შემუშავებისთვის. მაშ როგორი არიან ის თვისებანი, რომელნიც ასე სასურველ ჰქმნიან ესთეტიურ განვითარებასა?

1. ჩვენ გვაინტერესებს ყველაზე უწინარესს ესთეტიური სჭვრეტა, ესთეტიურად ტკბობა. აღზრდას თავდაპირველად ამ უკანასკნელის, და არა ხელოვნურ შემოქმედების განვითარება უნდა ჰქონდეს მიზნად, ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. აღზრდას კი მხოლოდ ჩვეულებრივ ადამიანებთან აქვს საქმე. მაგრამ რას წარმოადგენს ესთეტიურად ტკბობა? თანამედროვე ესთეტიკა ამ საკითხის გადაწყვეტაში კანტს ემხრობა და მცირე შესწორებით მის ესთეტიურ თეორიას იღებს. კანტის აზრით კი ესთეტიურად დატკბობა არ წარმოადგენს ისეთ პსიხიურ ფენომენს, რომელიც ერთ რომელსამე სულიერ ფუნქციაზე იყოს დამყარებული. სოულებით წინააღმდეგ; ესთეტიურად ტკბობა ჩვენი გონების ძალთა ურთიერთ დამოკიდებულებაზე, მათ ჰარმონიულ მოქმედებაზე, ან, როგორც კანტი ამბობს, „სულიერ ძალათა თამაშზეა“ დამყარებული. იმავე შეხედულებას გვიქადაგებს კანტის სახელოვანი მოციქული, დიდებული მგოსანი შილლერი. მისი ესთეტიური თეორია ერთბაშად **თამაშის** პრინციპზედაა აგებული. შილლერისათვის ადამიანი მხოლოდ მაშინ წარმოადგენს დასრულებულს ადამიანს, როდესაც იგი თამაშობს. თამაში კი სულიერ ძალათა ჰარმონიული ურთიერთ დამოკიდებულებაა. იგი ყოველ პსიხიურ ფუნქციის ერთდროული და შეთანხმებული მოქმედებაა. ესთეტიური დატკბობა ამისდა მიხედვით ადამიანის ყველა პსიხიურ ძალის ჰარმონიული მოქმედებაა.

მართალია თუ არა ეს შეხედულება? ავიღოთ რაიმე ხელოვნური ნაწარმოები. ეჭვს გარეშეა, რომ იგი ხელოვნური ნაწარმოები უწინარეს ყოვლისა ჩვენი გრძნებათა რომელიმე ორგანოს საშუალებით **ნაგრძნები** უნდა იქმნას, რომ ჩვენზე რაიმე გავლენა იქონიოს: თუ იგი მუსიკალური ნაწარმოებია, იმ შემთხვევაში conditio sine qua uon ესთეტიურად ტკბობისა არის გრძნება სმენისა: თვით ბეტხოვენის სიმფონიები არარაობაა სმენას მოკლებულ პირთათვის. თუ ხელოვნური ნაწარმოები მხატვრობის ერთ-ერთ დარგს ეკუთვნის, მაშინ ნულს უდრის მისი მოქმედება ადამიანზე, თუ ეს უკანასკნელი თავის მხედველობით არ იგრძნებს მას, თუ იგი ნაწარმოები გრძნობად არ იქცა და ამგვარად ჩვენს პსიხიურ ცხოვრებაში ერთგვარ მიმდინარეობად არ გარდიქმნა. აქედან ყველასათვის აშკარა ხდება, რომ ყოველგვარ ესთეტიურ დატკბობის აუცილებელ პირობას ჩვენი პსიხიკის უმდაბლეს საფეხურისა გრძნებათა მოქმედება შეადგენს. მაგრამ განა მარტო **გარეშე გრძნებანი** იღებენ მონაწილეობას ჩვენს ესთეტიურ ტკბობის წარმოშობაში! ისევე ძრიელ, როგორც ისინი, მოქმედებენ აგრეთვე **შინა გრძნებანი**, როდესაც ჩვენ რაიმე ხელოვნურ ნაწარმოებს ვსჭვრეტთ, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელოვნური ნაწარმოები **ვრცელ - ესთეტიურ** (das Räumlich-aesthetische) კატეგორიას ეკუთვნის. თუ ეხლა პსიხიურ ცხოვრების მეორე მიმდინარეობას, **გრძნობას** მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უკვე ყველასათვის აშკარად დამტკიცდება, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ მონაწილეობას იღებს ესთეტიურ ტკბობის წარმოშვებაში და განვითარებაში, ვინაიდან გრძნობა სწორედ ის საფუძველია, რომელზედაც შენდება ყოველი ესთეტიური ტკბობა; არა, საფუძველი კი არა,—ეს ის მასალაა, რომელიც თითქმის მარტოდ-მარტო შეადგენს ესთეტიურად ტკბობას. რაც შეეხება მესამე მიმდინარეობას პსიხიკაში: **გონების** მოქმედებას, ამის შესახებ ლაპარაკიც კი მეტია. იგი განუწყვეტლივ მოქმედებს, როდესაც რაიმე ხელოვნური ნაწარმოები სდგას ჩვენს წინაშე. „მილოსის ვენერა“ თავის თავად რაა, თუ არა ცივი მარმარილო, ერთგვარის გეგმით გამოქანდაკებული! შოპენის marche funébre რაა, თუ არ ერთგვარ ჰარმონიათა შეწყობილი ხმები! მაგრამ, როდესაც ჩვენ ესთეტიურად ვსტკბებით „მილოსის ვენერითა“ ან marche funébr-ითა, მაშინ იგინი მეტს წარმოადგენენ, ვიდრე ცივ მარმარილოს ან შეწყობილ ხმებს. რათა ხდება ეს? პასუხი აშკარაა: **ფანტაზია** ის ძალაა, რომელიც ამთავრებს ესთეტიურ ტკბობის შესაძლებლობას.

ყველა აქედან აშკარაა, რომ ძნელი წარმოსადგენია ადამიანის პსიხიკის ძალათა ასეთი ერთდროული და ჰარმონიული მოქმედება, როგორც ეს ესთეტიურად ტკბობის დროს ხდება. ამიტომ უეჭველია ის დიადი მნიშვნელობა, რომელიც ამ მხრივ ესთეტიურ დატკბობასა აქვს და ის მოძღვრება, რომელიც გვასწავლის, რომ ადამიანი მხოლოდ ესთეტიურ ჭვრეტის დროს სრულდება და მისი სიდიადე მხოლოდ იქ მჟღავნდება განსაკუთრებულის ძლიერებით.

II. ესთეტიურ დატკბობის ნათელი მხარეები ამით არ იფარგლება. აქვს კიდევ ესთეტიურ ჭვრეტას ისეთი მხარე, რომელიც მას ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტად ჰხდის. ეს, ფოლკელტის აზრით*), ის ერთიანობაა, ის სოლიდარული ურთი-ერთობაა ადამიანის არსის ორ მოპირდაპირე მხარის—მორალურისა და ნატურალურის, გრძნებილისა და ინტელლექტუალურის შორის, რომელიც მხოლოდ ესთეტიურ ჭვრეტის დროს იჩენს თავს განსაკუთრებულის ძლიერებით. როდესაც ჩემს წინაშე სდგას რაიმე მშვენიერი ხელოვნური ნაწარმოები, მაშინ ყველასათვის თვალსაჩინოდ მოქმედებს ჩემში აზრი და გრძნება. სხვაფ შეურიგებელნი, ისინი ეხლა ხელი-ხელს ჩაკიდებულნი ჰარმონიულის ნაბიჯით მიისწრაფიან წინ. ჰარმონიული ურთი-ერთობა მყარდება აგრეთვე ჩემს **გრძნებილ** და **მორალურ** მისწრაფებათა შორის. ის უნებლიობა (Willenslosigkeit), რომელიც ნიშანდობლივია ყოველ ესთეტიურად ტკბობისათვის, ის წყარო, რომლიდანაც გამომდინარეობს იგი ურთი-ერთობა, იგი ჰარმონია სხვაფ შეურიგებელ და შეუერთებელ მხარეთა. შილლერი და გიოტე,—ეს ორი მნათობი გერმანიის ლიტერატურისა და აზროვნებისა, ფრიად მაღლა აყენებენ ესთეტიურ ჭვრეტის ამ თვისებას: ჰარმონიას მუდამ დისჰარმონიულ მისწრაფებათა შორის.

აი, ის ორი ნათელი მხარე ესთეტიურად დატკბობისა, რომელიც ნათელჰყოფს მის დაუფასებლობას ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. ეჭვს გარეშეა, მათი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ადვილი გასაგებია ის გატაცება ესთეტიურ განათლებით, რომელიც ესთეტიციზმს ახასიათებს და ესთეტიურ განათლებაში აღზრდის ერთად-ერთ მიზანს აჭვრეტინებს. ეს მნიშვნელობა ამგვარად ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდა ესთეტიზმი რომანტიკოსებისა. მაგრამ ესთეტიურად ტკბობას თავისი სუსტი, ბნელი მხარეებიცა აქვს, რომელნიც ასე თუ ისე საგრძნობლად ფარგლავენ მის სხვაფრივ დიად მნიშვნელობას. უკვე შილლერმა მიგვითითა ამ სუსტ მხარეებზე და გვაჩვენა, რომ ესთეტიური განათლება ადვილად წარმოშვებს უკიდურეს **სუბიექტივიზმისადმი** მისწრაფებას. ეს უკანასკნელი, შილლერის აზრით, ერთ-ერთ შეუწყნარებელ მხარეს წარმოადგენს ესთეტიურ განათლებისას. რომ შილლერი აქ ჭეშმარიტების მქადაგებელია, ამას ყველაზე უკეთ დღევანდელი ესთეტები ამტკიცებენ. მათთვის წარმოადგენს დღეს სრულ დუმლოებას ესთეტის ფიგურა, რომელიც თავის წვრილ და ხშირად საბრალო გრძნობაში ცხოვრების დამასრულებელ, უზენაეს პსიხიურ მოვლენასა სჭვრეტს, რომელიც მას ამიტომ მოწიწებითი სიმაღლეზედ აყენებს, გუნდრუკს უკმევს და ამასთანავე (რაც ყველაზე უფრო ახირებული მოვლენაა) სხვებსაც მოსთხოვს მისი საბრალო ძალით ამაღლებულ გრძნობის თაყვანისცემას. ესთეტიციზმი, როგორც ჰხედავთ, მართლაც უკიდურეს სუბიექტივიზმის მატარებელია.

აქედან ყველასთვის ნათლადა სჩანს, რომ ესთეტიური განათლება ორი მხრით მჭრელი დანაა. იგი აღჭურვილია მნიშვნელოვან ნათელ მხარეებითა, მაგრამ იგი ისეთის ფარგლებითაცაა შემოზღუდული, რომელნიც შეუძლებლად ჰქმნიან მხოლოდ და მხოლოდ ესთეტიურ განათლების კულტს. ესთეტიური განათლება ამიტომ ვერ შეადგენს იმ ნავსაყუდელს, რომლისაკენაც უნდა მიისწრაფოდეს ყოველი ადამიანი, რომ იქ თავის რთულ ბუნების ყველა ლტოლვათა და ზრახვათ მყუდრო არსებობა უზრუნველ-ჰყოს; იგი ვერ შეადგენს აღზრდის ერთად-ერთ მიზანს.

ყველა იქიდან, რაც უკვე ვთქვით, აშკარად გამომდინარეობს, რომ ესთეტიურ განათლებას დიადაც თავისი გარდაუვალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს მნიშვნელობა ისეთის ფარგლებით არის შემოზღუდული, რომელნიც შეუძლებელჰყოფენ მხოლოდ და მხოლოდ ესთეტიურ განათლების კულტს. ამიტომ იგი **ერთად-ერთ** მიზნად არა, მაგრამ აღზრდის **ერთად-ერთ** მიზნად უსათუოდ უნდა იქმნეს აღიარებული. ეს მოთხოვნილება, როგორც უკვე ნათქვამიდან სჩანს, მარ-

*) იხ. „დროება“ № 4

*) F. Volkelt: Die theoretische Pädagogik. ამ მოაზრეს ჩემის წერილის დანარჩენ ადგილებისთვისაც აქვს მნიშვნელობა.

ლეგაციები პეტერბურგში მინისტრებთან და სხვა, მაგრამ არავინ შეიწყნარა ჭიათურელების კანონიერი სჩივარი. 14 წელიწადია, რაც ეს გზა გაკეთდა და რაც ქვას ეზიდებიან ამ გზით; ამ ხნის განმავლობაში მთავრობას აუღია მხოლოდ ქვის გადაზიდვაში 26 მილიონ მანეთზე მეტი, ე. ი. წლიური შემოსავალი საშუალოდ 1½ მილიონს აღემატება. გზის გაყვანა კი დაჯდა მხოლოდ მილიონ ნახევარი მანეთი. განა ასეთი დიდი შემოსავალი ასეთ შედარებით ცოტა დახარჯულ კაპიტალზე საბუთს არ უნდა აძლევდეს მთავრობას, რომ მრეწველობის ინტერესების გულისთვის გზის ტარიფი ნორმამდე დაიყვანოს? მთავრობა მაინც ჯიუტობს. ალბად მას აქაც „კრამოლა“ და „ინოროდცები“ ელანდება, თორემ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, ჭიათურა, რომ შუაგულ რუსეთში იყოს, ბევრად უკეთეს პირობებში იქნებოდა ჩაყენებული.

საბჭო შუამდგომლობს, სხვათა შორის, ეხლანდელ ვიწრო გზის გარდაკეთებას ფართო ლიანდაგიან გზად და ამისათვის მას ბევრი სამართლიანი საბუთი მოჰყავს. მაგრამ საქმე იმაშია, ამ საკითხის გარდაწყვეტა რამდენ სიძნელეს წარმოადგენს ტეხნიკურად. ეხლანდელ ვიწრო ლიანდაგიან გზას ისეთი დაკლაკნილი მიმართულება აქვს (სულ მდინარე ყვირილის ნაპირს მისდევს), რომ ეხლაც ძნელად დადიან პატარა ტიპის ლოკომოტივები და ვაგონები. ამ გზის გადაკეთება ფართო ლიანდაგიანად, თუ მიმართულება მთლად არ შეიცვალა, ძნელია, რადგან დიდი ტიპის ლოკომოტივებისა და ვაგონებისათვის შეუძლებელი იქნება მიმოსვლა. ფართო ლიანდაგიან გზისათვის საჭიროა რაც შეიძლება პირდაპირი გზა. ეს კი გამოიწვევს ბევრ ტუნელის და ხიდის გაკეთებას, რადგან ეს მხარე მეტის-მეტად მთიანია და მდ. ყვირილის ხეობებით დასერილი. ასეთი ტეხნიკური სიძნელე 38 ვერსის მანძილზე გზას ძვირად დაისვამს და შეიძლება მთავრობა უფრო გაჯიუტდეს და ტარიფს არ დაუკლოს. ტარიფის დაკლება კი ჭიათურისთვის პირველ ხარისხოვანი საქმეა, რათა შავი ქვის გადაზიდვა რაც შეიძლება გაიაფდეს.

ჩვენის აზრით, უფრო სასარგებლო იქნებოდა და ტეხნიკურსა და ეკონომიურის მხრით უფრო ხელსაყრელიც, რომ ჭიათურა ფართო ლიანდაგიანის გზით ზესტაფონს, აჯამეთს ან უკედ, რიონის სადგურს შეუერთდეს. ეს მხარე არ წარმოადგენს ტოპოგრაფიულს სიძნელეს, ამასთან იგი მდიდარია მარგანეცით და ბუნების სხვა სიუხვით, რომლის დამუშავება და ექსპლუატაცია დიდ სარგებლობას მოუტანდა ჩვენში მრეწველობის განვითარებას.

როგორიც უნდა იყოს შუამდგომლობა, ჭიათურელებმა ყოველი საშუალება უნდა იხმარონ შავი ქვის გადაზიდვის გასადიდებლად და გასაიაფებლად ჭიათურიდან რკინის გზის მთავარ მაგისტრალამდის.

არის კიდევ ერთი ზომა, რომლის განხორციელება თვით ჭიათურელ მრეწველებზეა დამოკიდებული. ისეთ მთიან მხარეში, როგორიც არის შორაპნის მაზრა, ჰაეროვან კანატის გზას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი უიაფესი ტრანსპორტის საშუალებაა ეხლანდელ დროში. ორ მილიონამდის აძლევენ წელიწადში ჭიათურელი მრეწველები მთავრობას ქვის გადასაზიდად ჭიათურიდან შორაპნამდის, ერთი მილიონიც არ იქნება საჭირო ჰაეროვან კანატის გზის გასაყვანად ჭიათურიდან რკინის გზის მაგისტრალამდის. ეს მეტის-მეტად ეკონომიური ტრანსპორტი ძალიან ხელსაყრელი იქნება ჭიათურისთვის. ქვის გადატვირთვაც მექანიკური იქნება. ჭიათურელ მრეწველებს, რომ მეტის ინიციატივის უნარი ჰქონდეთ, ასეთ ეკონომიურ ტრანსპორტისთვის არასფერს დაიშურებდნენ.

ყველა ეს კარგი, მაგრამ რა მიზეზია, რომ თვით ჭიათურაში ქვა ძვირად ჯდება (7 კაპეიკამდის ჯდება, 4 ნახევრამდის იძლევიან). ამისი მიზეზიც ბევრია, მათ შორის: ქვის წარმოების პრიმიტიული ტეხნიკა, წარმოებისა და შრომის ცუდი ორგანიზაცია და ბევრი სხვა. **Mineur.**

(შემდეგი იქნება)

## საადგილ-მამულო საკითხი

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნო რედაქტორო! არა ერთხელ ვკითხულობ თქვენ პატივცემულ გაზეთ „დროება“-ში ჩვენი მამულების გაყიდვის შესახებ უცხო ხალხზე. ჩვენთვისაც და, საზოგადოდ, ყოველ შეგნებულ ქართველისათვის, რასაკვირველია, უმჯობესია, რომ ისევ ჩვენმა, ქართველმა გლეხ-კაცებმა შეისყიდონ მიწა, მაგრამ ესეც არის, რომ ჩვენი გლეხკაცის ჩაგონება არ არის აგრე ადვილი. მე თითონ არა ერთხელ დავიბარე აქაური გლეხ-კაცები და ურჩიე, ეყიდნათ ჩემი მამული კასპში **დღიური 25—30 მანეთად,** მაგრამ არა ჰქნეს. მას უკან კიდევ ვაძლევდი მანეთად დღიურს იჯარით 1200 დღიურს ანუ 600 დესეტინას (ამაზე იაფი რაღა იქნება!). ამაზედაც მიპასუხეს: „ხელს არ მოქვცემს“. უჩემ მამულოდ კი ვერა სძლებენ და იხდიან დღიურზე სამ მანეთს ურწყავში, ხოლო სარწყავში კი ხუთ მანეთს.

ჩემი ეს მამული მდებარეობს კასპში, სადგურიდან ორ ვერსზე, მტკვრის პირზე და შუაზე გადის რკინის გზის ლიანდაგი, 600 დესეტინიდან 400 სახნავია, დანარჩენი საძოვარი და სასარგებლო ადგილი შენობისა და საკირეს ქვისა. ამ მამულიდან ვიტოვებ ჩემთვის 100 დესეტინას, დანარჩენს ვყიდი, დესეტინას 50—60 მანეთად. ანუ დღიურს 25—30 მან., იჯარით კი ვაძლევ სულ 600 დესეტინას, 2 მანეთად დესეტინას წელიწადში ან დღიურს ერთ მანეთად.

ჩემი მამული დაგირავებულია სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში 14,000 მანეთად და რაკი აქაურები უარობენ, იძულებული ვიქნები გავყიდო სხვებზე, რადგან ვალის მოშორება მინდა. თუ ვინმე ურჩევს ჩვენ ქართლის ხალხს, იყიდონ ეს ჩემი მამული, სიამოვნებით გავყიდი. ჯერ-ჯერობით შეუძლიანთ აიღონ იჯარით და მერე იყიდონ ზემო მოხსენებულ პირობით. მარტო წერით კი არა გამოვა რა როგორც სამართლიანად ბრძანებს ბ-ნი ი. კაკაბაძე თქვენსავე გაზეთში. ვისაც მოლაპარაკება უნდა, შეუძლიან მომმართოს მე მცხოვრებს სოფელ კასპში. მე მსურს ამ ცოტა ხანში გავყიდო მამული, რომ ბანკს არ დარჩეს და მეც ცოტა რამე ვისარგებლო და თუ სახელმწიფო ბანკს დარჩა, მან შეიძლება უცხონი დაასახლოს ამ ადგილზე.

**თავ. დიმიტრი ივანეს ძე ამილახვარი.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**ჩამოსახლება.** ჩვენში ადგილების შესაძენად და შორეულების ჩამოსასახლებლად მთელი ორგანიზაცია არსებობს თურმე. რადგან საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო თავისუფალი ადგილები ნაკლებად-ღა მოიპოვება, ამიტომ ჩქარობენ ხელში ჩაიგდონ დავალიანებულ მემამულეთა ადგილები, რადგან იციან რომ იმას, რასაც ეხლა 100 მან. შეიძენენ, ცოტა ხნის შემდეგ შეიძლება 1000 მანეთადაც ვეღარ შეიძინონ. საქმის ხელმძღვანელები ტფილისში ბრძანდებიან უმეტესად, ხოლო პროვინციაში აგენტები ჰყავთ. ზოგან, მაგ., სიღნაღსა, თელავსა, შულავერსა, თუქურმიშსა, სვეჩინოსა, ვორონცოვკასა და სხვაგან არიან თურმე განსაკუთრებული აგენტები, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ, სად, ვის და როდის ეყიდება ბანკში დაგირავებული ადგილი ან თავის ნებით ვინა ჰყიდის. როგორც კი ამისთანა ამბავს გაიგებენ, მაშინვე ცნობებს აწვდიან, სადაც ჯერ არს, და საგლეხო ბანკისა ან სხვა დაწესებულების დახმარებით ახერხებენ ადგილების შეძენას. ამ ჟამად, როგორც ნამდვილად გავიგეთ, თუქურმიშსა, ვორონცოვკასა და სვეჩინოს მცხოვრებ რუსის გლეხობამ 400 კომლამდე რუსეთიდან ახლად ჩამოსულს შეაფარებინეს თავი და სცდილობენ, რომ ალაზნის ნაპირებზე, ლაგოდეხისაკენ, ან გარეთ კახეთში შეაძენინონ ადგილები.

**შუამდგომლობა.** სომეხ-კათოლიკეთა მრევლების გამგე რუსეთში ს. ტერ-აბრამიანს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ დაარსდეს ტფილისში სომეხ-კათოლიკეთა კონსისტორია და კანცელარია, სასულიერო სემინარია და სასწავლებელი პროგიმნაზიურის კურსით, სადაც უნდა ასწავლონ რუსული, სომხური, ლათინური, ფრანგული და გერმანული ენები და სომეხ-კათოლიკეთა საკათედრო ეკლესია შუამდგომლობს აგრეთვე აშენდეს ტფილისში განსაკუთრებული სახლი საპარქიო უფროსისა, მის კანცელარიისა და მდივნისთვის, -გრეთვე გადაიდოს ფული ამ დაწესებულებების გადმოსატანად ახალციხიდან ტფილისში. როგორც ვიცით, ახალ-ციხელი ქართველი კათოლიკენიც ამ დაწესებულებებს ექვემდებარებიან.

**სტუდენტების დეპეშა.** გუშინ ჩვენმა რედაქციამ პეტერბურგიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ღრმად აღგვაშფოთა ბ-ნ გვაზავას არასინდისიერმა უვიცმა გალაშქრებამ დიდად პატივცემულ პროფესორის მარრის წინააღმდეგ. ასეთმა საქციელმა არ შეიძლება არ ააღელვოს ყველა ქვათამყოფელი. სტუდენტები ყიფშიძე, ბერიძე, შანიძე და დადიანი“.

**ადგილების მითვისება.** მუხრანის ხიდის დამთავრებამ როგორც მუხრანის ისე რიყის ქუჩებზე ადგილის ფასი ასწია და ვისაც კი მოხერხების თავი აქვს, დიდ ძალს ფულსა ჰხარჯავს აქ სამაღაზიე ადგილების შესაძენად. გამდიდრების მადამ ზოგს მტაცებლობის სურვილიც გაუღვიძა. მაგ., ვიღაც სოფიო მელიქ-ფარსადანოვმა ქალაქის კარგა მოზრდილი ადგილიც კი ჩაიგდო ხელში მუხრანის ხიდის პირდაპირ, ციციანთ აღმართის დასაწყისში, რიყის ქუჩაზე, და სახლის აგებასაც შეუდგა. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, დაევალოს იურისკონსულტს, აღძრას საჩივარი ადგილის მიმთვისებლის წინააღმდეგ. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაავალა ქალაქის იურისკონსულტს, საჩივარი აღსძრას ალექსანდრე კარაშევიჩის წინააღმდეგ, რომელსაც აჯამეთის ქუჩაზე ქალაქის ადგილი ჩაუგდია ხელში.

**დახმარება საზოგადოებებს.** ნამესტნიკის განკარგულებით, საახალწლოდ მიუციათ: ტფ. რუსულ საქველმოქმედო საზოგადოებისთვის —700 მ., ტფ. ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებისთვის—150 მ., ტფ. შრომის სახლისთვის—100 მან., კუკიის ალექსანდრე-ნეველის ეკლესიასთან არსებულ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებისთვის—50 მან., თავშესაფარისთვის მიხეილის საავადმყოფოსთან—100 მან, სომხთა შრომის სახლის „მეგუს“-თვის—100 მ. და მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებისთვის—100 მ.

**ტრამვაის გამოსყიდვის საქმე.** გუშინ წინ ტფილისში ჩამოვიდა ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებული ბ-ნი ფაინი. როგორც ვიცით, ერთი წლის შემდეგ ტფილისს უფლება ეძლევა გამოისყიდოს ელექტრონის ტრამვაი. ფაინს აზრადა აქვს, მოელაპარაკოს ქალაქის თვითმმართველობას, რომ ვადა ტრამვაის გამოსყიდვისა გადაიდოს, რადგან უსახელო საზოგადოებას დიდი ზარალი მოუვიდა უკანასკნელ წლების მოძრაობისაგანაო.

**მიწის-ძვრა.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, 6 იანვარს, დილის 6 საათზედ განჯაში მიწა იძრა თურმე. უბედურება არ მომხდარა.

**კრების ოქმების დამტკიცება.** ეგზარხოსის მოადგილეს დაუმტკიცებია ამას წინად მომხდარ სამღვდელოების კრების ოქმები.

**ოსური ჟურნალი.** არსენ კოცოევს შუამდგომლობა აღუძრავს ტფ. გუბერნატორის წინაშე ნება დაერთოს გამოსცეს ტფილისში ოსური ყოველ-კვირეული ჟურნალი „აფსირი“ (თავთავი).

დღეს, 8 იანვარს, აბო თბილელის დღესასწაულს, ფერისცვალების (დარიის) მონასტერში მწირველი იქნება ალავერდის ეპისკოპოსი დავითი, არქიმანდრიტ დოსითეის, პიროსის და სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის შემდეგ ლიტანიით წავლენ აბო თბილელის ნიშთან, ავლაბრის ხიდის ყურზე, სადაც გადახდილი იქნება პარაკლისი და შემდეგ ლიტანიითვე დაბრუნდებიან მონასტერში.

6 იანვარს კოჩუბეის ქუჩაზე, გედევანოვის სახლში, მისულა ბებია ქალის სარა პოლონსკიას მიჯნური იოსებ აბელიანი, რომელსაც რაღაც მართებულების ბარათის წერა დაუწყია გედევანოვის შვილთან. ამ დროს იქ შესულა პოლონსკაია, რომელსაც ამ სიტყვებით: „აიჰა შენ ყველა იმისთვის, რაც ჩაგიდენიაო“ და სახეზე შეუსხავს საწამლავი და თითონაც რაღაც საწამლავი დაულევ ა. ორივენი საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ექიმების შემოწმებით პოლონსკიას მორჩენა საეჭვოა.

6 იანვარს კურსკის ქუჩაზე მცხოვრებმა ნიკოლოზ რომანოვმა კარ?ო-ის სიმჟავე დალია. რომანოვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. 4 იანვარს დააპატიმრეს გიორგი ბიბილაშვილი, რომელსაც განუზრახავს სამხედრო ბეგრის თავიდან აცდენა. 5 იანვარს ღამე ტფ. მაზრის სოფ. დურნუკის მცხოვრებმა ივანე ალექსანდ. ყაზაროვმა კარბოლის სიმჟავე დალია. ყაზაროვი საავადმყოფოში გაგზავნეს. 5 იანვარს ჩხრეკის დროს პოლიციის მე-3 ნაწილში დააპატიმრეს 10 უპასპორტო კაცი.

### ქ უ თ ა ი ს ი

**ებრაელების დეპეშა.** ქუთაისის ებრაელთა რაბინმა ელიაშვილმა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის გარდაცვალების გამო დეპეშა გაგზავნა და პასუხად მიიღო: „გულწრფელად ვმადლობთ ქუთაისის ებრაელთა საზოგადოებას და თქვენ ჩვენს ღრმა მწუხარებაში თანაგრძნობის გამოცხადებისა გამო“.

**შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.** ქალაქის გამგეობამ სთხოვა გუბერნატორს, ნება დართოს, მას, რომ მდგომარე წლის სავარაუდო აღრიცხვის განხილვამდის და დამტკიცებამდის იხელმძღვანელოს წარსული წლის აღრიცხვით. 11 იანვრიდან ქალაქის საბჭო შეუდგება სავარაუდო აღრიცხვის განხილვას.

## მოწერილი ამბები

**პეტერბურგი.** 28 დეკემბერს რამდენმამე ქართველმა სტუდენტმა ვინახულეთ ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც თხუთმეტ დღეზე მეტია პეტერბურგშია. იგი ჩამოსულა საკურნალოდ და ეხლა შედარებით სხვა დროისა უფრო უკეთესად გრძნობს თავს. ბინად ალექსანდრო-ნეველის ლავრაშია და დარჩება მთელი ერთი თვე, სანამ სრულიად განიკურნებოდეს. სიხარულით მიგვიღო და ბევრიც გვემასლაათა.

ანტონ მიტროპოლიტს უთქვამს ეპ. კირიონისათვის, სინოდში შემოსულია შუამდგომლობა ნამესტნიკისა შესახებ იმისა, რომ თქვენ ათონში წასვლის ნება დაგრთონ და სინოდს საწინააღმდეგო არა ექნება-რაო. ამაზე ეპ. კირიონს უპასუხნია, რომ როდესაც გთხოვეთ მაშინ უარი მითხარით და ეხლა მეც არ ვიცი, წავალ თუ არაო. როგორც გვითხრა, მას 1902 წელს უთხოვნია ათონში წასვლის ნება, მაგრამ მაშინ უარი უთქვამთ; შეჰშინებიათ, სხვა სარწმუნოება არ მიიღოსო. ეპ. კირიონი ეხლაც დიდად მოხარული იქნება, თუ ნება დართეს ათონში წასვლისა. რამდენიმე თვით სიამოვნებით წავიდოდი ათონშიო. როგორც მისივე სიტყვებიდანა სჩანს, ათონში მისი წასვლა საჭიროც არის და სასარგებლოც, რადგან იქაურ ქართულ მონასტრის აწეწილ საქმეებს მოწყობა სდომებია.

ეპ. კირიონს დიდი შრომა გაუწევია თავის თხზულების დასაწერად, რომელიც ეხლა-ხან იბეჭდება ტფილისში. თხზულება რუსულად არის დაწერილი, ამ სათაურით: „Культурная роль Иверіи въ исторіи Руси“. ეპ. კირიონმა სთქვა: ათასზე მეტი სიტყვა მოვსძებნე რუსულ ენაში ქართულ ენიდან გადაღებულიო. ამ სიტყვების ლექსიკონი ახალ შრომას ბოლოში ექნება ჩართულიო.

ეპ. კირიონმა, სხვათა შორის, ისიც სთქვა, რომ მე მაქვს მდიდარი ბიბლიოთეკა ქართულ სიგელსით და სასულიერო წიგნებისა, რომელიც ხუთი ათასი მანეთი ღირს და აგრეთვე მუზეუმი... ბიბლიოთეკა, სანამ ცოცხალი ვარ თითონ მჭირია, არავის გადავცემ. მუზეუმში ჰქონია ძველთა-ძველი ფული, დავით კურაპალატის დროისა და ბევრი სხვა არქეოლოგიური ნაშთნი.

ეხლა ჩვენ უნდა ვეცადოთ, —სთქვა ყოვლად სამღვდელოთ კირიონმა,—ჩვენი ენა არ წაირყვნეს, მტკიცედ იქნეს დაცულიო. ეპ. კირიონი მხნედ ჰგრძნობს თავს, ვერ მოჰქანცა იგი ტანჯვამ და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალშიაც არ მოაკლებს თავის ზრუნვას და ყურადღებას მასავით ტანჯულ სამშობლოს.

შობას და შობის წინა დღეს აქ ძალზე ციოდა. სიცივე 20-25 გრადუსამდის ავიდა, რაც ქართველებისთვის საგრძნობელია.

უნივერსიტეტთან არსებული ქართული სათვისტომო მართავს ქართულ საღამოს; საღამო გაიმართება იანვრის თვეში. არჩეული კომისია, რომელიც შეუდგა საქმის მოწყობას.

[illegible]

**გორი.** 24 და 26 დეკემბერს ქალაქში [illegible] ჩხრეკა [illegible] ჩხრეკდნენ სახლებს. როგორც ამბობენ იპოვნეს ერთი თოფი, ორი ხანჯალი და რევოლვერი. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

2 იანვარს ტფილისის ქუჩაზე ერთ ცხენიანდელ გლეხის ბიჭს, ესე 12—13 წლისას, ერთი გლეხისთვის ბატი მოუპარა. ქურდი შეეპყრათ. ხალხი მრავლად შემოხვეოდა. პატარა დამნაშავეს და ყველა ცხვირში მუშტს უქნევდა. რამდენმამე ვაჟბატონმა იგი კარგად გაბერტყა. მცემელთა შორის ერთი მოხუცი თავადიც იყო, რომელსაც უნდა ესმოდეს, რომ ამისთანა შემთხვევებში საჭიროა დარიგება, ჩაგონება დანაშაულის მავნებლობისა და არა მუშტი-კრივი. შესაბრალი სანახავი ბავშვი, რომელიც მთლად კანკალებდა, თვითვეულს იქ მყოფს შიშის გამომხატველ თვალით შეჰყურებდა—და მფარველობას სთხოვდა.

3 იანვარს, საღამოს ესე 8 საათზე ბათუმიდან მომავალმა მატარებელმა გაჭყლიტა მღვდლის ბარამოვის მოხუცებული მეუღლე. როგორც გადმოცეს, საქმე ასე ყოფილა. მოხუცებულს ტფილისში ნათესავი გაუსტუმრებია. ვაგონის დერეფანში გაუბამთ მუსაიფი. მესამე ზარი დაურეკიათ. მოხუცებული აჩქარებულა და ბორცკილმა გადმომხტარა, მაგრამ ვაგონ ქვეშ ჩავარდნილა და გაუსრესია. განსვენებულს ხუთი შვილი დარჩა.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 2 იანვარს ადგილობრივმა დასმა, ქართულ სცენის დაარსებიდან 60 წლის შესრულების აღსანიშნავად, წარმოადგინა ზ. ეპიკაშვილის სცენები „სამზადისი“ და გ. გუნიას მიერ გადმოკეთებული კომედია „ადლუმი“. სამზადისმა საზოგადოდ ისე მწყობრად ვერ ჩაიარა, როგორც მოსალოდნელი იყო. მიზეზი იყო ის გარემოება, რომ მსახიობებმა როლები კარგად არ იცოდნენ და ხშირ-ხშირად ისვენებდნენ სრულიად უადგილოდ. მიუხედავად ამისა, კარგი იყო გ. გუნია ვორონცოვის პატარა როლში: მოყვანილობა, გრიმი, ტანისამოსი, ხმა—ყველაფერი ხელს უწყობდა. კარგი პლატონ იოსელიანი იყო დადიანი; მოხდენილად შეასრულა იმედაშვილმა რევაზ ერისთავის როლი.

რაც შეეხება „ადლუმს“, იშვიათის ანსამბლით შესრულდა იგი. მთელი წარმოდგენის განმავლობაში თეატრში განუწყვეტელი სიცილი იყო. მსახიობები თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რომ ერთს მეორეზე უკეთესად ეთამაშნა. მშვენიერი იყო განსაკუთრებით ნინო დავითიშვილის ასული მოწავე ქალის ნუცას როლში. ნემოს ვერ ჰქონდა შესაფერი როლი—პეტრე რაინდძისა. ამ დღეს პირველად გამოვიდა სცენაზე თ. ხხეიძის ასული მანწავლებელ ქალის თამარის როლში. მან საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, თუმცა ერთხელ ნახვით, რასაკვირველია, არ შეიძლება გადაჭრით რისამე თქმა მის სასცენო ნიჭის შესახებ. საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა ამ წარმოდგენით.

3 იანვარს, საზოგადოების თხოვნით, დასმა ამ სეზონში მესამედ წარმოადგინა ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა.“ წარმოდგენამ ამ საღამოსაც ისე მშვენივრად ჩაიარა, როგორც წინად, როლები ისევე იყო განაწილებული, როგორც მეორე წარმოდგენის დროს. ვერც ერთს მსახიობს ვერ იტყოდა კაცი, როდის ცუდად თამაშობდაო. ქუთაისში, ქართულ დასის გარდა, ეს პიესა აქ წარმოუდგენიათ იავორსკაიასა და პეტიპას დასებს. რომ ვადარებთ ქართულისა და რუსული დასების თამაშს, იმ უცდომელ დასკვნამდის მივდივართ, რომ ქართულად ეს პიესა გაცილებით უფრო კარგად, უფრო ცოცხლად და მოხდენილად სრულდება.

---

თლდება მით, რომ ესთეტიურად ტკბობა დამოუკიდებელი ღირებულებაა ადამიანის არსისა, აუცილებელი მოთხოვნილებაა მისი ბუნებისა. აშკარაა, რომ აქ ერთგვარი ანტინომია იბადება: ესთეტიური განათლება აუცილებელია ადამიანისთვის, იგი სასურველია მისთვის, რადგან იგი მხოლოდ ესთეტიურ ჰკვრეტის დროს წარმოადგენს სრულს ადამიანს. მაგრამ იმავე დროს იმავე ესთეტიურ განათლებას ისეთი მხარეებიცა აქვს, რომელნიც თვით მისი არსიდან გამომდინარეობენ, ამიტომ მისგან განუყრელი, მაგრამ, საუბედუროდ, არა სასურველი თვისებისანი არიან. როგორ აიხსნება ეს ანტინომია?

საბედნიეროდ, თვით ადამიანის ფსიხიკაა ისეთ თვისებათა მატარებელი, რომელნიც თავიდანვე უძლურჰყოფენ ამ ანტინომიას. ადამიანის ფსიხიკა ისე მრავალ-მხრივია, ისე რთულია, რომ იგი მარტო ესთეტიურის ტკბობით არა კმაყოფილდება. მას სხვა მრავალი მოთხოვნილებაცა აქვს. მაგალითად აზრთა სამეფო დამოუკიდებელი სამფლობელოა ჩვენს ფსიხიურ ცხოვრებაში. ეს უკვე ზევით დავამტკიცეთ, როდესაც ადამიანის ფსიხიკა ანალიტიურ თვალსაზრისით განვიხილეთ. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ბუნება განუწყვეტლივ და დაჟინებით მოგვთხოვს ინტელექტუალურ საკითხების გადაჭრას. ასეთ საკითხების გადაჭრას-კი ორგვარი სარგებლობა მოაქვს: 1. იგი ანგარიშს უწევს ჩვენი ბუნების მნიშვნელოვან მოთხოვნილებას და ამასთან. 2. ფარგლავს ესთეტიურ განათლების უკიდურესობას და ამით **უკვე ნახსენებ ანტინომიას** აუძლურებს. ამიტომ აშკარაა, რომ ინტელექტუალური განათლება, გონების შემუშავება აღზრდის აუცილებელ მიზანს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ განა მარტო ამ მოსაზრებით? არა! ინტელექტუალურ განათლებას ბევრი ისეთი მხარეც აქვს, რომელიც ფრიად სასურველ— და აუცილებელჰყოფენ ინტელექტის განათლებისაკენ მისწრაფებას.

მაშ განვიხილოთ ჯერ ეს მხარეები ინტელექტუალურ განვითარებისა! **დ. უზნაძე.**

(შემდეგი იქნება)

**შეცდომის გასწორება.** პირველ ფელეტონში (№ 2) შემდეგი შეცდომები შეპარულა:

პირველი სვეტი, მე-2 სტრიქონი. დაბეჭდილია: „ძველი წეს-წყობილების მნათობმა“,—ეს სრულიად უნდა უკუგდებულ იქმნას.

მეხუთე სვეტი, მე-17 სტრიქონი. დაბეჭდილია: „აზრების განვითარების“. უნდა იყოს: „აზრების გახვითარება“.

პირველი სვეტი, მესამე გვერდი. მე-22 სტრიქონი, დაბეჭდილია: a+b+c უნდა იყოს: $a^1+b+c$

იქვე მე-23 სტრიქონი, დაბეჭდილია: „თუ კი a ეხლა a—ს წარმოადგენს“. უნდა იყოს: „თუ კი a ეხლა d-ს წარმოადგენს“.

იქვე მე-24 სტრიქონი. დაბეჭდილია „a+d კი a-სა“. უნდა იყოს: „$a_1$+d კი a-სა“.

იქვე, მე-4 სვეტი, უკანასკნელი სტრიქონი. დაბეჭდილია: „გრძნებილი გრძნობა. უნდა იყოს: „გრძნებითი გრძნობა“.

განსაკუთრებით ნ. ჩხეიძის ასულს — თლგა ნიკოლაევნას როლში, ვ. გუნიას — ონუფრისა და ა. იმედაშვილს — გლუხოვცევის როლებში აღტაცებაში მოჰყავდათ საზოგადოება.

# შორეულ აღმოსავლეთი

**იაპონიის სამხედრო მზადება.**

პარიზში ცნობა მიიღეს პეკინიდან: იაპონელები აძლიერებენ თავიანთ ჯარის რაზმებს ჩრდილოეთ კორეიაში. მდინარე იალუს ნაპირას მრავალი იაპონელი სამხედრო ჯაშუში გაჩნდა. იაპონიის მთავარ შტაბის წარმომადგენელი გენერალი ფუკუშიმა მანჯურიაში აპირებს წასვლასო.

იაპონიიდან იუწყებიან, რომ იაპონიის სამხედრო მზადება მანჯურიაში აიხსნება სიფრთხილით, რადგან შეიძლება ჩინეთმა, ამერიკის წინადადებით წაქეზებულმა, რაიმე მოულოდნელი საქმე გაბედოსო.

**ფრანგული გაზეთი ამერიკულ პროექტზე.**

საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულმა, გავლენიანმა გაზ. „ტან“-მა ვრცელი მოწინავე წერილი უძღვნა ამერიკის პროექტს. წერილის კილო ცხადად მოწმობს, რომ საფრანგეთის დიპლომატია ძლიერ შეუწუხებია ამერიკის წინადადებას. ფრანგ დიპლომატებს შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ამ წინადადებამ გამოიწვიოს დიდი საერთაშორისო ამბები. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის პროექტი ეწინააღმდეგება მრავალს ხელშეკრულობას, როგორიცაა მაგალითად: ინგლის-რუსეთის ხელშეკრულობა 1899 წლისა, პორტსმუტისა 1905 წლ., რუსეთ-იაპონიის შეთანხმება 1907 წლ. და ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულობები 1905 და 1909 წ. წ. ამავე დროს ეს წინადადება ეხება ინგლის-იაპონიისა და რუსეთ-საფრანგეთის კავშირებსაც. როგორ შეხედვენ ამერიკის პროექტს ყველაზე მეტად დაინტერესებულნი სახელმწიფოები: — იაპონია და რუსეთი? იაპონია, დიდი გამოცნობა არ უნდა, უთუოდ მტკიცე უარს შეუთვლის ამერიკას. ხოლო რუსეთმა, შეიძლება, უარყოს კიდეც ეს წინადადება, შეიძლება მოიწონოს კიდეც იგი, რადგან მას საკმაო საბუთი აქვს უარისთვისაც, მოწონებისთვისაც. დანარჩენ სახელმწიფოები ამნაირად მოიქცევიან — იხელმძღვანელებს საზოგადო პოლიტიკურ მოსაზრებით. ინგლისმა უთუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს იმ გარემოებას, რომ იგი მოკავშირეა იაპონიისა. საფრანგეთი სრულიად დაინტერესებული არაა ამ საქმეში, იგი მხოლოდ ჩინეთის ხელუხლებლობას იცავს. მაგრამ საფრანგეთი ძვირად აფასებს იმ თანხმობას, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში დამყარდა რუსეთსა, ინგლისსა და იაპონიას შორის, იგი ეცდება ეს თანხმობა დაიცვას, და რასაკვირველია, უარს არ იტყვის ფინანსიური მონაწილეობა მიიღოს მანჯურის რკინის გზების გამოსყიდვაში, თუ ეს საქმე უდავიდარაბოთ მოხერხდება. საფრანგეთს იმიტომ აფასებს ასე ძვირად ინგლისის, რუსეთის და იაპონიის თანხმობას, რომ ეს თანხმობა საუკეთესო საშუალებად მიაჩნია თავის სამფლობელოს დასაცველად ინდო-ჩინეთში. დასასრულ ჩინეთი უეჭველად გახარებული იქნება ამერიკის წინადადებით, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მის სამფლობელოს ხელუხლებლობას. აი ამ მდგომარეობაშია ამ ჟამად საქმე. ამნაირად შეერთებულ შტატების წინადადება ეხება მრავალნაირ ინტერესებს და ამიტომ მოსალოდნელი არაა, რომ იგი სწრაფად მიიღონ სახელმწიფოებმა. ჯერ-ჯერობით ძნელი გამოსაცნობია, თუ რით გათავდება ეს საქმე...

# სასამართლო

**მოწაფეების საქმე.**

ამ დღეებში ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ტფ. მეორე ვაჟთა გიმნაზიის ყოფილ მოწაფეების ევგ. ჩერქეზიშვილისა, ბორ. გარბაჩევისა და ილ. აფხაზისა. მათ პეტარდის გადაგდება ჰბრალდებოდათ გიმნაზიაში აქტის დროს. პალატამ ჩერქეზიშვილს ოთხი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა, ხოლო გარბაჩევს და აფხაზს, როგორც მცირე წლოვანთ, სამსამი წლით დაპატიმრება, ამასთან პალატამ დაადგინა, იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე სასჯელის შემცირებაზე.

**პოლიტიკური საქმე.**

2 იანვარს ტფ. სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე დ. დვალისა. მას სოციალ-დემოკრატთა პარტიის წევრობას აბრალებდნენ. სასამართლომ დამნაშავედ იცნო დვალი და ოთხი წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა.

# ოსმალეთი

**ახალი სამინისტრო.**

ხაკი ბეის ახალ სამინისტროში, თითონ დიდ-ვეზირს გარდა, ყველაზე გამოჩენილ და გავლენიან კაცად უნდა ჩაითვალოს, რასა თქმა უნდა, სამხედრო მინისტრი, გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ ფაშა: ყველას კარგად ახსოვს ის დიდი როლი, რომელიც შეასრულა შევკეთ-ფაშამ კონტრ-რევოლიუციის დამარცხებისა და სულთან აბდულ-ჰამიდის ტახტიდან ჩამოგდების დროს. კონტრ-რევოლიუციის დამარცხების შემდეგ შევკეთ-ფაშას და ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს შორის არა ერთხელ მოხდა შეტაკება იმის გამო, რომ შევკეთ-ფაშას არ მოსწონდა, რომ ოფიციალურ მთავრობასთან ერთად ოსმალეთში ასეთ მეორე მთავრობა — ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი, რომელსაც გაცილებით მეტი გავლენა და გადამწყვეტი ხმა ჰქონდა სახელმწიფო საქმეებში, სანამ მინისტრებს. სწორედ ამ მიზეზით სთქვა შევკეთ-ფაშამ უარი ხილმი-ფაშის სამინისტროში შესვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ ხილმი-ფაშა მეტად ბეჯითად იწვევდა მას სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე, ამიტომ ძნელი გამოსაცნობია, თუ რა განწყობილება დამყარდება ახალ სამინისტროსა და კომიტეტს შორის ეხლა, როდესაც მახმუდ-შევკეთ-ფაშამ მიიღო სამხედრო მინისტრის პორტფელი ხაკი-ბეის სამინისტროში. ზოგიერთი გაზეთი ჰფიქრობს, რომ ამ ჟამად ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს ისეთი თვალსაჩინო გავლენა აღარ ექნება სახელმწიფო საქმეთა მსვლელობაზე, როგორც აქამდე ჰქონდა, მით უმეტეს რომ თითონ ახალი დიდი ვეზირი ვითომ ყველაფერში როდი ეთანხმება ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის პოლიტიკასო.

**კრიტის საქმე.**

ფრანგულ გაზ. „ტან“-ში დაბეჭდა იმ ნოტის შინაარსი, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ ჩააბარა კრიტეს მფარველ სახელმწიფოებს.

ოსმალეთი დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ კრიტის მთავრობამ ფიცი მიიღო საბერძნეთის მეფის ერთგულებაზე, — ხოლო კრიტეს პარლამენტმა დაადგინა — კრიტზე საბერძნეთის სამეფოს კანონები შემოვიდოთო. ოსმალეთი ჩივის, რომ კრიტელები თავიანთ მოქმედებით არღვევენ ოსმალეთის სულთნის ეჭვნაუწყებას და ამასთანავე შეურაცხყოფენ მფარველ სახელმწიფოებს სახელსაც, რადგან ეს სახელმწიფოები დაჰპირდნენ ოსმალეთს, რომ კუნძულ კრიტზე დაიცვენ ძველებურ მდგომარეობასო.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ეს სახელმწიფოებმა უკვე პასუხიც ჩააბარეს ოსმალეთის მთავრობას და რომ მათ სამართლიანად სცნეს ოსმალეთის საჩივარი და თან დაჰპირდნენ, კრიტის მთავრობას ძალას დავატანთ, რომ ოსმალეთის სამართლიანი მოთხოვნილება შეასრულონ და მეტადრე ბეჯითად დავუშლით, რომ კრიტელებმა დეპუტატები აირჩიონ ათენის პარლამენტშიო,

მაგრამ ამავე დროს გერმანული გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი იუწყება სარწმუნო წყაროდან, რომ იტალიისა, საბერძნეთისა და ოსმალეთის მთავრობებს შორის გამართულია მოლაპარაკება, რომელიც იმედია სასურველად დასრულდება კრიტელებისთვისო. ამ ცნობას თუ დავუჯერებთ, ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი თანახმაა კუნძული კრიტი დაუთმოს საბერძნეთს, ხოლო სამაგიეროდ ფული მიიღოს მისგან, რაადგან კომიტეტი დარწმუნდა, რომ ოსმალეთი კუნძულ კრიტს სულ ერთია ვეღარ შეინარჩუნებსო. მაგრამ ოსმალეთს ამასთანავე უნდა, რომ ევროპის სახელმწიფოთა კონფერენციამ სამუდამოდ უზრუნველჰყოს ოსმალეთის სამფლობელოს ხელუხლებლობა. გაზეთი ირწმუნება, რომ ახალი დიდი ვეზირი ხაკი-ბეი თანაგრძნობით უცქერის ამ პროექტსაო.

# უცხოეთი

**არჩევნები ინგლისში.**

2 იანვარს უკვე დაიწყო საპარლამენტო არჩევნები ინგლისში. დეპეშებს უკვე მოაქვთ ცნობა ამ არჩევნებზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, მეტად ძნელი გამოსაცნობია, ვინ გაიმარჯვებს ამ დიდ ბრძოლაში. კონსერვატიული გაზ. „ტაიმს“-ი ჰფიქრობს, რომ კონსერვატორები გაიმარჯვებენ 295 ოლქში, ხოლო ლიბერალები — 287 ოლქში. არჩევნების ბედს გადასწყვეტს 88 საეჭვო ოლქი. თუ ამ ოლქებშიაც გაიმარჯვეს, მაშინ კონსერვატორებს პალატაში 96 დეპუტატით მეტი ეყოლებათ, სანამ ლიბერალებსა, ხოლო თუ საეჭვო ოლქებში ლიბერალებმა გაიმარჯვეს, მაშინ პარლამენტის ბატონებად ირლანდიელები გახდებიანო.

**ასკვიტის სიტყვა.**

პირველ მინისტრს ასკვიტსა და კონსერვატორების მეთაურს ბალფურ შორის ძლიერი კამათი გაიმართა. ამას წინად ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა და შეძგრად გამოექომაგა მონარქიულ პრინციპსა და ლორდთა პალატის პრივილეგიებს. მის პასუხად ასკვიტმა 30 დეკემბერს ლონდონში ილაპარაკა და სხვათა შორის შემდეგი სთქვა: ინგლისში მონარქია იმიტომაა ასე მკვიდრი, რომ ინგლისის მეფე პარტიათა ბრძოლის გარეშე დგას და მრავალ საუკუნის განმავლობაში აღარა სარგებლობს „Veto“-ს უფლებით, ესე იგი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს არ უქმებს. ლორდები კი თითქმის ყველანი ერის პარტიას ეკუთვნიან და ბორკტად სარგებლობენ „veto“-ს უფლებითა. ამასთანა წესებს მალე მოედება ბოლო“.

პირველი მინისტრი არწმუნებდა მსმენელთ: თუ არჩევნებში კონსერვატორები გაიმარჯვებენ, მაშინ ინგლისის ერის თავისუფლება ვაჭრობის თავისუფლება და თვით მშვიდობიანობა დიდ საფრთხეში ჩავცვივდებიანო. ვინც მხარს დაუჭერს კონსერვატორებს ის ამით მხარს დაუჭერს ბაჟებს, ტრესტებს და სინდიკატებს, ის ხელს შეუწყობს ჩვენში საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღებას და უცხო სახელმწიფოებთან გადაკიდებას. ხოლო ვინც მხარს დაუჭერს ლიბერალებს ის დაიცავს თავისუფლებას, მშვიდობიანობას, სოციალურ რეფორმებს, პროგრესს და თავისუფალ ვაჭრობასო.

**ბალფურის დაპირება.**

კონსერვატორების მეთაური ბალფური დაჰპირდა ამომრჩევლებს: კონსერვატორები არ მოუმატებენ ბაჟს სანოვაგესა და პირველ საჭიროების საგნებსაო. მაგრამ ამავე დროს მან შენიშნა, რომ ცოტაოდენი ბაჟი, თუ დაედო ხორბალს, ეს არა თუ არ გააძვირებს, პირიქით გააიაფებს პურსაო.

**ხმა იმპერატორ ვილჰელმისა და პრეზიდენტ ფალიერის შეხვედრაზე.**

ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება ბრიუსელიდან: სარწმუნო წყაროდან შევიტყე, რომ ქალ. ბრიუსელში, როდესაც იქ მსოფლიო გამოფენა გაიმართება, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი და საფრანგეთის პრეზიდენტი ფალიერი ერთმანეთს შეხვდებიანო. („ნ. ვ.“).

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ჟამად გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისს შორის საიდუმლო მოლაპარაკებაა გამართული შეთანხმების შესახებო.

# რუსეთი

**სენატის განმარტება.** მკითხველს ეხსომება, რომ შარშან ვარშავის ნაფიცმა ვექილებმა სენატში საჩივარი აღძრეს ვარშავის გენერალ-გუბერნატორზე, გაუსამართლებლად, მარტო თავის განკარგულებით, სიკვდილით დასაჯა რამდენიმე კაციო. სენატს რამდენიმე სხდომა ჰქონდა ამის შესახებ და ვერავითარი დადგენილება ვერ გამოიტანა. ეხლა, როგორც „რუსკ. ვედ.“ იუწყება, სენატს უკვე დაუმთავრებია ეს საქმე და შემდეგი დაუდგენია: გენერალ-გუბერნატორები მარტო ხელმწიფე-იმპერატორს ექვემდებარებიან. არავითარ დაწესებულებას, ან პირს არ შეუძლიან ანგარიში მოსთხოვოს გენერალ-გუბერნატორს. ამიტომ არც სენატს შეუძლიან თვალ-ყური ადევნოს გენერალ-გუბერნატორებს და მათ მოქმედებას რაიმე მსჯავრი დასდოს. მართალია, კანონით გენერალ-გუბერნატორებს გაუსამართლებლად არავის სიკვდილით დასჯა არ შეუძლიანთ, მაგრამ თუ მათ ხელმწიფე-იმპერატორს თავიანთი ასეთი მოქმედება მოახსენეს, ისინი თავიანთ ასეთ მოქმედებაში პასუხს აღარ აგებენო!

✦ **ახალი გადასახადი.** ოფიციოზი „როსსია“ სწერს: ამ ჟამად სხვა და სხვა უწყებები გაცხარებულ მიწერ-მოწერაში არიან. განზრახულია შეიმუშავონ კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტით იმ ახალგაზდებს, რომლებიც რაიმე მიზეზით სალდათობისაგან განთავისუფლდებიან, სახელმწიფოს სასარგებლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში განსაზღვრული გადასახადი უნდა გაიღონ.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! პატივის ცემით გთხოვთ, ეს მცირე შენიშვნა დამიბეჭდოთ „დროების“ მახლობელ ნომერში.

ქართულად ჩემი ნათარგმნი ფაუსტის ზოგიერთი მკითხველებისაგან მესმის, ფაუსტი თქვენს თარგმანში რაღაც სასაცილო კილოთია გამოყვანილი, პისი მეცნიერების სიდიადეს სრულიად არ შეჰფერისო. გიოტეს ფაუსტი სწორედ მითია შესანიშნავი, რომ მართლა მისი ტიპის სიდიადე უცბად ძნელი წარმოსადგენია. შეიძლება ვსცდებოდე, ფაუსტი მე წარმოდგენილი მყავს ტიპად ისეთი კაცისად, რომელიც ტრაგიკომიკურ მდგომარეობაშია, რომელიც მეცნიერია და იმავროსვე ჯადოქარი, ეძიებს ჭეშმარიტებას, როგორც გულუბრყვილო იდეალისტი, მაგრამ თავისი ჯადოქრობა ამ მიუწვდომელ საქმეში რო ვერა შველის, მიჰყიდის სულს ეშმაკ მეფისტოფელსა, იმედით, ეგებ რასმე გახდეო. მეფისტოფელს, როგორც სკეპტიკ-პესიმისტს, ფაუსტის იდეალისტობა გულ უბრყვილობის და გამოუცდელობის ნაყოფი ჰგონია და აშკარად დასცინის მის მაღალ მისწრაფებას, რადგანაც დარწმუნებულია! ფაუსტს სრულ კმაყოფილებას მიჰაცემს სიკეთე ამა წუთისოფლისა, რომელსაც ის ერიდება. ტრაგიკომიზმი ფაუსტისა იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერს გულის სიწმინდით სჩადის და სულ ამაოდ. როგორც უწრიკვლო რაინდი დაეძებს ჭეშმარიტებასაც, სიჭაბუკესაც, თოთხმეტი წლის ქალწული ქალის მიჯნურობასაც; მერე როგორ? დამხმარედ ამ იდეალების ძებნაში აუყვანია ეშმაკი, რომლისათვისაც, ალალმართლობითვე, სულიც კი მიუყიდია.

ფაუსტი მე ვთარგმნე იმ რუსული ტექსტისაგან, რომელიც ეკუთვნის ნ. ხოლოდკოვსკის, გამართულია გათქმულის მთარგმნელის პეტრე ვეინბერგისა და მოქცეული გიოტეს სრული თხზულების მეშვიდე ტომში. (Н. В. Гербель, Собраніе сочиненій Гёте въ переводѣ русскихъ писателей, второе изданіе подъ редакціей Петра Вейнберга, томъ седьмой С.-Петербургъ 1893). რაც რუსულ თარგმანში ცენზურის გამო ვერ მოჰყვა, ის გადმომაღებინეს მეგობრებმა, რომელთაც გერმანული ტექსტი მითარგმნეს. თუ რამ გამოპრჩა უთარგმნელი, ან შემეშალა რამ უნებლიეთ, მეორე გამოცემას, რომელიც ძვირფას ქაღალდზე და სურათებიანი დაიბეჭდება, ასეთი ნაკლი აღარ დაჰყვება. ის არა ჰსცდება, ვინც არას აკეთებს.

ერთი საუკუნე და ცხრა წელიწადი გავიდა ლონდონში, მაგრამ ვერ ველირსენით ფაუსტის ქართულ თარგმანს: ჩვენი პოეტნი ჰქმნიან და არა გადმოიღიან. ჩემი თარგმანი წარმოადგენს პროზას, წყობილ სიტყვად გამართულს. გულწრფელი სიამოვნების მეტს არა განვიცდი, თუ ჩემ შემდეგ ვინმე უკეთეს ქართულად ჰსთარგმნის პირდაპირ გერმანულისაგან პროზად, თუნდ ისე სხვა და სხვა ზომიერ ლექსად, როგორც თვით ავტორსა აქვს.

რამდენად შევასრულე ეს საძნელო საქმე, ამის დაფასებასთან მე ხელი არა მაქვს და პატივცემული მკითხველი საზოგადოებისთვის მიმინდვია“.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი

პეტრე მირიანაშვილი.

# განცხადებანი


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღონშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (б.—35)

✦● მედიცინის ფერშალი ●✦

**ი. ს. ბოძერია.**

დიდუბე, შერემეტიევის ქუჩა, № 27.

ვუცრი ბავშვებს ყვავილს, ვუხვევ ჰკრილობებს, ვუკეთებ მასსაჟს და სხვა. ყოველ დღე საღამოს საათიდან. (2—806—2)

**სორაპნის ამხ. გამოცემა.**

ქართველი და უცხოელი მწერლები

მიიღება ხელის-მოწერა

მეოთხე წიგნზე

**● განდეგილი ●**

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივ ფორმატისა იქნება, 225 გვერ. და ხელის მომწერლებისათვის

**ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანად.**

ავტორის სურათითა და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით

**გაუმჯობესებული იქნება**

ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს. წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები —40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვში.

ადრესი: Тиф., Т-ва «Сорапань». (10—8)

**გრამოფონების მეგობრებისა და მოყვარულების**

**ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ.**

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე, აზოვ-დონის ბანკის პირდაპირ,

**გრიგოლ სერგეის ძე დავიდოვმა გახსნა**

◀ **გრამოფონებისა და ფირფიტების ახალი საწყობი** ▶

**მიღებულია აუარებელი ორპირიანი ფირფიტა ზონოფონის ქარხანა და სააქციონერო საზოგადოება**

**„გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“**

საქარხნო მარკით: ანგელოზი კალმით ხელში.

ქალაქ გარეშე მყოფ მყიდველების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ რადგან საწყობს აუარებელი საქონელი მოუვიდა, ამიტომ დაკვეთილი საგანი სწრაფად და ხელად გაეგზავნებათ. (5—5—2)

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ჯ ე ჯ ი ლ ი**

**ოცდა პირველი წელიწადი**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი „ჯეჯილი“** ტფილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას „იმერეთ“-ს და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(5—1) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

**მ ო მ ა ვ ა ლ ი**

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.**

**გაზეთი ღირს:** ტფილისსა და ტფილისს გარეთ: ერთი წლის 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: ტფილისში 2 მან. 20 კაპ., ტფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. ერთი თვით: ტფილისში 80 კაპ., ტფილისს გარეთ 90 კაპ.

◀ **ცალკე ნომერი ერთი შაური** ▶

**ხელის მოწერა მიიღება:** ტფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან — წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში — მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3. ზემო სართული.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе. (4—1)




**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—б—98)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**